

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფრთხილი

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებში.

ზასი განცხადების: ღირსი სხვა ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდილი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: В. Т. შ. В. редакцию газ. „Дროза“.

ზაჰეთის ზასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე უფასო

„დროება“

ხელის-მოწერა: თბილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: В. Тифлиса. В. редакцию газеты „Дროза“.

ზაჰეთის ზასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

პირველი ივლისიდან გარეშე ღირს ხუთი წლის დასაწყისამდე—15 მანეთი.

ხვედრი ფული გახეთის დაბარებისთანავე უნდა იქმნეს რედაქციაში გამოგზავნილი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

კაბეგრაფი, 30 მაისს. ღღეს ისაკის სომხორში მიტროპოლიტი ირიდორი მოლენას გადიხდის ხელმწიფე იმპერატრიცის დღეგრძელობისათვის.

კაბეგრაფი, 30 მაისს. ღღეს, პირველ საათზე, ბორჩაკოვი, შომინი, ჭრიდერიქი და სოროკინი წავიდნენ მარშაის რკინის გზით ბერლინში. ბორჩაკოვს ავთამყოფობა არ ეტყობოდა.

„მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია: 28 მაისი. ღღეს ხელმწიფე იმპერატრიცამ გუშინდელზე უკეთ გაატარა ღამე. ღღლით კი მაჯა ისე დაუსუსტდა მძიმედ და ღრმად სუნთქავს.

ზაზეთს „Голос“—ში იწერებიან: ბუშინ წავადნენ ბერლინში გრაფ შეველოვი და შბრი. ამბობენ, რომ სომხების დღეგვატი ხორენ ნარ-ბეიც ბერლინში აპირებს წასვლასა და სანამ კონგრესსი არ გათავდება, იქ დარჩება. ხორენ ნარ-ბეის იმედი აქვს, რომ უმთავრეს სახელმწიფოების წარმომადგენელი ოსმალის სომხების კანონიერ მოთხოვნის მიხედვით მხედველობაში.

საქართველო

უხორცობა ქალაქში

მა თითქმის ორი კვირაა, რაც ქალაქის ოჯახის-შვილებისაგან სხვა საჩივართა შორის გაიგონებთ კიდევ ერთს უფრო საყურადღებოს:

— ხორცი ვერ გვიშოვნია!

მეყასებები ამბობენ: ცხვარი მიიროვით, ძროხის ხორცი არ გახლავსთ; თუ გნებავთ, ჰავლაბარში მიბრძანდით!

რალა თქმა უნდა, რომ ეს მართლაც საყურადღებო საჩივარი და გარემოებაა განსაკუთრებით ახლა, ამ ზაფხულში, ამ ყოველგვარი ავთამყოფობისა და სენის დროს, როდესაც ხალხი გაფუჭებულ ჰაერს ჰყლაპავს, როდესაც ჯანი უიმისოცა სუსტდება სიცხისაგან და ავთამყოფობას ითვისებს სისუსტისაგან.

ძარგი ხორცი, კარგი საქელი, რასაკვირველია, ყოველთვის აუცილებელი საქიროებაა ადამიანისათვის; მაგრამ ახლა, ზემო-ხსენებულ გარემოებათა წყალობით, ეს კიდევ უფრო აუცილებელ საქიროებას შეადგენს.

რა არის ამის მიზეზი? რისგან არის, რომ ამ ჟამად ხეირიანი ხორცი არ იშობება ქალაქში?

პირველი მიზეზი ის არის, რომ წელს საქონელი გაწყდა ჭირისაგან. საქონლის პატრონს აღარა ჰყავს გასასყიდი საქონელი და რაც ჰყავს, ისიც დაუსუსტებული, დასენიანებული.

მეორე და უმთავრესი მიზეზიც ის არის, რომ საქონლის საკლავი ჩვენმა ქალაქის მამგობამ ქალაქის წრეს გარეთ, ჰავლაბარში, გამართა. შეჭველია, რომ ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქში ხორცის გაძვირებაზე. მასპნებს ვერ მოაქვთ დროზედ და რამდენიც საჭიროა ხორცი ამ სიშორიდან; ჰავლაბრიდამ ხორცის წამოღება მოუთავსებელია იმიტომ, რომ შორს არის ქალაქიდან და ამის გამო ამ ზაფხულში, უჭველია, ხორცი ფუჭდება. მეორე მხრით, როცა საქონელს აქვე, ქალაქში ჰყლავენ, მაშინ ყასპებს ადვილად შეეძლოთ მოთხოვნის

ლებისა-და-გვარად დაეკლათ საქონელი და გაეყიდნათ ახალი ხორცი; ახლა კი ამის შეტყობა ნამდვილათ არ შეუძლიანთ, ხან მეტი იყიდება, ხან ნაკლები და ეს არის იმის მიზეზი, რომ ხშირად ყასპებთან სულ ვერ იშოვნით ხორცსა და ანუ თუ იშოვით, ძველს, გუშინდელს, გუშინწინდელს.

ჩვენ გვაკვირებს ქალაქის მამგობის განკარგულება: აუცილებელად საჭირო იყო საქონლის საკლავი ადგილის ვადატანა ჰავლაბარში? მეყასებები სუფთად ვერ ინახავენ პირუტყვის საკლავ ადგილსაო, ცუდი სუნი დგება აქედამაო და ქალაქის ჰაერი ფუჭდებაო, ეს საიტარულის მხრით მენებელია ხალხისთვისაო! ეს მირთალია; მაგრამ უფრო მართალია, რომ „უფხის ადგილები“ უფრო მენებელია ქალაქის ჯანმთელობისარვის. რატომ განკარგულებას არ ახდენენ, რომ ეს ადგილებიც ქალაქის წრეს გარეთ გადაიტანონ? რატომ ყველა სახლებში არ დახურავენ ამ ადგილებსა!

ზანა სხვა საშუალება არ მოიძებნებოდა, რომ ჰავლაბარში არ გადაეტანათ პირუტყვის საკლავი ადგილი და ამის გამო მცხოვრებლები არ შეწუხებულყენენ!

რასაკვირველია, მოიძებნება და იღვილადაც: დარჩენილიყო ეს საკლავი ადგილი ისევე ქალაქში, მაგრამ ქალაქის მამგობასა და სანტარულ კომიტეტებს თვალ-ყური ედევნათ, რომ ეს ადგილი სუფთად, რიგიანათ შეენახათ და გიგენურს წესებზე ყოფილიყო გამართული.

ზანა სხვაგან თვითონ ქალაქში არ არის პირუტყვის საკლავი ადგილი გამართული, მაგრამ აქედამ არაფერი უბედურება არ წარმომდგარა, რადგან ისეთ ნაირად არის გაკეთებული, რომ იმისაგან არც ჰაერი ფუჭდება და არც არავითარი ავთამყოფობა ჩნდება. წარმოიდგინეთ — რა მოხდებოდა, რომ ვთქვათ, ლონდონის ანუ პარიის ქალაქების მამგობათაც ამისთანა განკარგულება მოეხდინათ და ქალაქის წრეს გარეთ, ე. ი. 10—12 ვერსზე გადაეტანათ

პირუტყვის საკლავი ადგილი.

პირუტყვის საკლავი ადგილი. აღრე კი მოესწრობოდა ხალხს იქიდან მოტანილი ხორცი!

ამ ნაირად, ჩვენ იმ ჰაზრზედა ვდგევართ, რომ ერთი უმთავრესადანი საშუალება ქალაქის ამ აუცილებელ საჭიროების დასაკმაყოფილებლად არის ის, რომ პირუტყვის საკლავი ადგილი თვითონ ქალაქშივე იყოს გამართული და შეყასკებებს ყური ადვენონ, როგორც ამ ადგილის სუფთად შენახვაზე, აგრეთვე ტაქციის სასტრატეგიულად ასრულებასზედ.

ს მ.

დღიური

* * * შოთილამ გვეჩვენებს, რომ ამ ქაშად იქ გაცხარებული ფაფა-ფუცია როგორც ვაჭარი ხალხისა, აგრეთვე სამხედრო წოდების პირებისა. რუსის ჯარები ბლომათ არისო, ბევრი ზარბაზნები და ტყვია-წამალი მიუზიდავთ. აგრეთვე ბლომათ მიუტანიათ მტრის ხომალდების ასაფეთქი ზღვის ლაღმები და სახელ-განთქმული ასაფეთქი ნავი „Царенный“ ამ ქაშად შოთში არისო.

მართის სიტყვით, აქეთკენ დიდი მზადება არის ომისთვისაო; მაგრამ ხალხს კი იმედი აქვსო, რომ მშვიდობიანობა არ იქნება დარღვეულიო.

* * * ბაზეთს, „მზზორში“ იწერებიან მუთაისილამ, ვითომც იქაური ქართული სკენის მოყვარებმა გადაწყვიტეს, რომ მომავალში იმათგან გამართული წარმოდგენების შემოსავალი ხან ერთის მოთამაშეთაგანის სასარგებლოთ გადასდებან და ხან მეორესი, და ამ ნაირად წარმოდგენებს ვაჭრული ხასიათი მისცენ.

ჩვენ ათა შეგვიტყვია-რა ამ საგნის შესახებ და უნდა გავტყდეთ, რომ არც გვჯერა, რომ ეს ამბავი მართილი იყოს. სანამ ნამდვილი ტრუბა არ შემდგარა სანამ სტენაზე გამოდიან მხოლოდ „მო-

ყვარულნი“ და არა ჯამაგირით დაქვრილი აქტიორები და აქტრისები, მანამ ამ გვარად საქმის წაყვანა, ჩვენს ჰაზრით მხოლოდ ვნებას მოუტანს ქართულ სტენას და არა სარგებლობას.

მთ მართალი გამოდგა ეს ხმა, მაშინ ამ საგანზე ჩვენ უფრო დალაგებით მოვილაპარაკებთ.

* * * ჩვენ მივიღეთ სურამილამ შემდეგი შენიშვნა:

„სურამი თავისი ჩვეულებრივი სიმშენიერებით მოირთო. მაისი დადგა. მთა, ბარი, ტყე, და ველი ზურმუხტის ტანისამოსით შეიმოსა.

„მართის სიტყვით ჩვენი სურამი ახლანდელი პატარაღია, რომ ვინც იმას შორდება, გული რჩება და ვინც იმასთან არის—სამუდამოთ სტკება.

„ახალ მოსულ ჯარმა სურამი გააცოცხლა; მაგრამ ჩვენს ნაცვალს კი კარგი არა დაემართა-რა: საწყალს მოსვენებას არ აძლევენ, რომ ერთი გემრიელად მიიწი დაიძინოს: ხან „აქტი“ შეადგინო, ხან „ლემპორტი“ დაწერო, ხან „ატნაშენი“ და ხან „ეშტაპიტი“ გაგზავნო ხან ქუჩები დასუფთავო და სხვ. და სხვ. ამ ვაი-ვაგლახში სოფლის მმართველობა ხელილამ გაუქრა!“

* * * ჩვენ მივიღეთ მელავილამ ცხრა მანეთი და ერთი აბაზი, რომელიც სოფ. შაშიანის მღვდელს ილია შიუკოვს, მღ. პლატონ შიუკოვს და სოფ. ზაარის მღვდელს დავით ნატაევს გადაუციათ ომში დაჭრილების სასარგებლოთ უფ. ალექსანდრე შიუკოვისათვის. ზემოსხენებულ სამს მღვდელს გადაუწყვეტიათ, რომ თითოეულმა ამთგანმა ამა მიზნისათვის შესწირონ თითო მანეთი თუმანზედ იმ ფულილამ, რომელიც ეძლევათ იმათ ხაზინილამ ჯამაგირად და ამ გვარი შეწირვა იწყონ დღეიდან იმ დრომდინ, სანამ ომიანობის მოლოდინი გათავდებოდეს.

მს ფული (9 მან და 1 აბაზი) ჩვენ წარვადგინეთ სასახლის მანტორაში, სადაც იღებენ ამგვარს შეწირვას. შემდგისთვის ვთხოვთ ამ შემოსხენებულ პირთ და აგრეთვე სხვა შემწირველებსაც ამგვარი შესაწირავი გამოგზავნონ პირდაპირ სასახლის მანტორის სახელობაზედ ამ აღრესით: Въ Тифлисъ. Въ Придворную контору.

* * * სიცხე თან-და-თან მატულობს ქალაქში. იმერეთილამ კი გვეჩვენებს, რომ აქეთკენ ისე გრილოა, რომ ხალხი თთილი ტანისამოსით დაიბრუნება.

* * * ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშვნა შოთი-მთილისის რკინის გზის ერთ სტანციილამ:

„სწორეთ დაატყავს ხალხი სტანციებში ამ ვესოგსჩიკებმა (საქონლის ამწონლებმა). სანამ ცოტადენს მაინც ფულს არ მისცემ, ისე სკლადში დაიღობებენ საქონელს და არ გაგზავნიან არსად.

მს გარემოება დაფარული კი არ არის, ქვეყანა ვხედავთ; მაგრამ თითონ იმათი უფროსები რომ ვერ ხედვენ, ეს არის გასაკვირველი!

„მართი მაგალითი უნდა მოგახსენოთ ამათი შესახები: ერთი პატარა წყალი მოვარდებოდა ხოლმე უცუთ და დასტაცებდა ხოლმე სოფლელებს რაც გაჩნიათ.

„მართელ სოფლელები შეიყარენ, რომ იმ წყლისთვის ეჩივლიათ სხვა დიდ წყალთან. რომ მივიდნენ საჩივლელოთ, ნახეს რომ იმ პატარა წყალს თითქმის ყველაფერი იმათგან მოტაცებული, ამ დიდ წყალში შეეტანა და დიდ წყალს მიჰქონდა. რა ნახეს ეს ამათა, სთქვეს: ეს ჩვენი ავეჯები თითონ ამას მიქცესო და რალაზე ვიჩივლოთო? ღა თავი დაანებეს.

„ამისი არ იყოს, ეს ამწონები თავის დიდრონებს უყოფენ აქვე, თორე ამნაირი საქმის გაუგებლობა იქნება?

„ამას ვწერ საკუთრათ ბორისა და ბრაკალის ამწონლებზედ.“

ფელტონი

ლონდონის მაწანალაბი *)

(ნათარგმნი მოთხრობა)

(გაგრძელება)

მართი სიტყვა დევნულთათვის შემძლებელი ინგლისელი შეუძლებელ კაცს აგდებს უტყინო კაცზე ნაკლებათ, რომლისაც არარაი მნიშვნელობა აქვს დედა-მიწაზე.

ამ უგულო ხალხს უნდა მიეწეროს საუკუნო შურისძიება და სიძულვილი ირლანდიელებისა. ინგლისი ღონით შეს-

ძლებს ირლანდის ხელში დაჭერას, მაგრამ როდენ ხანსაც ირლანდიელები იცხოვრებენ ამ კუნძულზე, ეს მტრობა იარსებებს.

მე გამიყოლია ერთმა ახალგაზდა ცელქმა, რომელმაც მითხრა, რომ იმან იცის ერთი ალაგი, საცა მოგვეცემენ ბილეთებს და ფულის გარდაუხდელათ ცხელ სიჭმელს გვაჭმევინო. მე დიდის სიხარულით გავყევი, რადგანაც ყველაფრის ნახვა მიწოდდა.

შემდეგი ღამე გავატარე ერთ ღარიბთა ღამის გასათევში, რომელიც ძალიან ემსგავსებოდა იმ სახლსა, რომელშიაც მე პირველი ღამე გავათიე მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ მიღება და მოვლა უკეთესი იყო. ჩვენ იქ დავი-

ძინეთ თბილათ, მაგრამ ცარიელა პურის მეტი არაფერი მოგვეცეს საქმელათ. ზოგიერთი იმ პირთაგანი, რომელთანაც გავატარე ღამე პირველად, აქ დამხედნენ. ამიტომაც ამათ ხელ-მეორედ აწერას საჭიროდ არა ვთვლი.

მ უ შ ი ს ტ ა ნ ი ს ა მ ო ს ი.

მეორე დღეს წვიმა, ციოდა და ნოტიობა იყო. მე შემზახლდნენ მაწანალები და გავემგზავრე პეტრე-პავლის სობორისაკენ. მთელს ღონდონის ქალაქში მართო ამ მხარეს ვიცნობდი, სადაც შემემლო გამთბარეიყავი და თავი შემეფარებინა. როდესაც დაღამდა მე წაველი ერთს აქაურ თავ-შესაფარებელ სახლში. იქ ვპოვე რამოდენიმე

*) „დროება“, № 94, 101, 102, 103 და 104.



„დროის“ კორესპონდენცია

გორი, 22 მაისს. დიდხანა გვეყურებოდა, რომ ცხინვალშიაც უნდა მომხრეებელი სასამართლო გაიხსნასო; მაგრამ, როგორც უყურებთ, ეს ლაპარაკი ხალხის ტყუილი გამოდგა და ჩვენმა მოლოდინმა ამაოთ ჩაიარა; თუ სასამართლოს გახსნას ეპირებოდნენ, აქამდისინ, უეჭველია, ცხინვალში სახლებსაც იქირაებდნენ.

დიდთ სასარგებლო კი იქნება ხალხისათვის, რომ მართლათ აჩქარონ და ცხინვალში! უდი გახსნან, ამისათვის რომ სამოცი ვერსიდან მოდიან ქვეითი ხალხი ზორის მომრიგებელს მოსამართლესთან საჩივრებლათ. მინამ ზორში მოვა რამდენი წყალი დახვდებათ გამოსასვლელი, სადაც ხიდები არ არის ან უნდა ძვირფასათ იქვე მახლობლათ იშოვონ რამე და გამოვიდნენ, ან არა და თავზედ ხელი უნდა აიღონ, გამოტოვონ და ზოგი გამოვა, და ზოგი უნდა მიიხრჩოს.

მერმე პატარა ლიხეთან სოფელს შერთულში მცხოვრებლები რა ოინებს აკეთებენ! არა მგონია დახელოვნებულმა ჟულიკებმა მოახერხონ ამაზედ უკეთესი ოინი: როგორც შეინღერევა პატარა-ლიხევი და დაიფანტება აქეთ-იქით, რადგანაც, დიდი რიყე უჭირამს, შერთულელები იშოვიან გატეხილს ურმებს, შეტანებენ წყალში, სადაც ფონი გადის, იმის მახლობლათ ქვემოთ ჩაჰყრიან და დაბრუნებულებს და ზემოდამ დიდ ლოდებს დააყრიან, რომ წყალმა არ წაიღოს. მგზავრები რომ მოვლენ წყლის პირზედ, ისინი ვენახებს აფარაინ, მივლენ მგზავრებთან და დაიწყობენ ლაპარაკსა: ამ ოინერმა წყალმა დღეს სამი ურემი გააფუჭაო ხალხით სამსეო, ზოგს მოვასწარიო, უშველეთო და ზოგი კი დიკარგაო!—რა არის, უცხოთ მისულმა მგზავრმა რა იცის ამათი ოინობა, შეეშინდეთ და ამათ შეეხვეწონ მშვიდობით გაიყვანონ და მისცენ ფული.

ცხინვალში რომ სასამართლო იყოს, აქ მავალი მგზავრი ცოტა იქნება, რადგანაც მეტი წილი ხალხი მთიდან ჩამოდის. იპას არ ვიტყვი, რომ სულ სასამართლოში მომსელელი ხალხი იყოს

და სხვა არა; მაგრამ თუ სხვა წამოვა საეპროთ, იმას კარგი ცხენიც ეყოლება და უშიშრათ გამოვა.

თუ მართლა უნდა გაიხსნას ცხინვალში სასამართლო, სწორეთ კარგი დრო არის რადგან საცა არის ლიხევის აღიდება და ისევ ხალხი საშიშროებაში იქნება. ამას გარდა, თუ იქ სასამართლო გაიხსნას, არ იქნება ურიგო, რომ ამ სასამართლოს როგორც შორისის ხეობა მიაწვრონ, ისე ზემო-ქართლი შტოს წყლამდინ ჩასწვრივ შეენატკოსინა მტკვრამდინ მცხოვრები; ეს ხალხი სურამის სასამართლოს ეკუთვნის და ამათვისაც სამძიმო არის სურამში ასვლა, რადგანაც თითქმის 35-დამ 40 ვერსამდინ არის სურამამდინ; ღირშელები ზორში ჩამოდიან, აქედამ რკინის გზით მიდიან სურამს.

რკინოდ სიტყვა თვით სურამის სასამართლოზედაც მიიდა ვსთქვა.

ზავგონებათ, წარსულს წლებში უსალაკის დროს სურამში რა სკანდალები იყო; დამნაშავე ვინ იყო—გამრჩევი გაარჩევს. მაგრამ ეს სასამართლო რომ ხაშურში გადაიტანონ, კარგი იქნება ამისათვის, რომ სურამში დიდსა და პატარას გავარჯიშებულნი აქეთ სუდიასთან ჩხუბები და ამყობა. აქაც არ ვიცი—ვინ სტყუოს, მაგრამ ხაშურში რომ გადაიტანონ, არ შეიძლება, ან სხვა ხალხის ხასიათმა არ გამოსცვალოს, ან ხაშურის მღებიარობამ ამათი ხასიათები...

ა. თუთაივი

ოქის აპეპი

კონგრესისი

პარიჟელი კორესპონდენტი ვაზ. „Indep. Belge“-ის იწერება, რომ, თუცა ლონდონიდან ცუდი ამბები მოდის და იქ ამბობდნო, რომ ომი რუსეთსა და ინგლისს შუა უეჭველად მოხდებოა, მაგრამ აქ კი იმედი აქვთო, რომ ბერლინის კონგრესისი მოარიგებს ამ ორ სახელმწიფოსაო.

ამავე კორესპონდენტის სიტყვით, სან-სტეფანოს მოარიგების პირობას კონ-

გრესის ნამდვილ პირობას ვერაფერს იმისგან და პარიჟის ტრაქტირადამ კონგრესისი ახალს მოარიგების პირობას შეადგენს.

„Polit. Corresp.“-ში დაბეჭდილია შემდეგი კორესპონდენცია შარსილამ 16 მაისს მიღებული:

„რუსები ცხადათ ჰხედავენ, რომ სტამბოლიდამ სომხეთში მოსულან ოსმალთს აგენტები აღელვებენ აქაურ ხალხს არწმუნებენ იმას, რომ ხონთქარი ძალაუფლებურად შეურიგდა რუსეთს და დათანხმდა სან-სტეფანოს მოარიგებაზედაო; მაგრამ, რადგან რუსეთმა არ შეასრულა ეს პირობა, არ დაგვიბრუნა ტყვეებიო, ამის გამო ხელ-ახლად ომი უნდა დაიწყეთო, ინგლისი გვეხმარებოა და სხვ. ხალხში აგრცელებენ ბროშურებსა და პროკლამაციებს, ურჩევენ იმათ, ნუ დემოჩილებიან რუსებს, საომრად მოემზადონ.

„ამ გვარი ქადაგების წყალობით შარსის მაზრაში ზოგან მართლაც დაიხრადებული მამადიანები დაეცნენ რუსის ჯარს და ზარალი მისცეს. შარსის კამენდანტმა ვაისტუმრა შარსილამ 15 შემჩნეული მაჰმადიანიანი და 3 კი დასტოვა“.

ამავე გაზეთის ბათუმელი კორესპონდენტი ამბობს:

„10 მაისს ბათუმში გავრცელდა ხმა, რომ იქ მისულან 2 ინგლისის ლენერალი და 12 ინჟინერის აფიცერი. ეს ამბავი მართალი გამოდგა. ინგლისის აფიცრებმა დახედეს აქაური სიმაგრეები (სხვათა შორის ცხის-ძირი) და იმათ ხელმძღვანელობით ახალ სიმაგრებს აკეთებენ.

ამასთანავე შობულეთის მაზრაში დაიარებიან ინგლისისა და ოსმალეთის აგენტები და აქეზებენ ხალხს, რომ რუსებს არ დაემოჩილონ. ისინი ფულებსა და თოფ-იარაღს ურიგებენ ყველას, ვინც ომში გამოსვლას ჰპირდება.

ჩემი ძველი ამხანაგები. დავიწყებ ყბედობა ერთ ამათთან, რომელიც სხვებზე უფროსი იყო და მისგან შევიტყე, თუ რანაირათ უნდა მოიქცეს კაცო, რომ იცხოვროს ლონდონში უფულოთ და უსაქმოთ, უმუშავოთ. შოველ უსაქმო და უსახლ-კარო კაცს ნება აქვს წავიდეს თითველ თავ-შესაფარებელ სახლში თვეში სამჯერ; მაგრამ სამჯერვე ერთიერთმანეთზე ვერ დარჩება.

ამ ნაირათ, ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში ბისვლით ისინი პოულობენ საწოლს, საუზმეს და ვახშამს; სადილსაც მითი მოიხერხებენ, რომ ან მოითხოვენ, ან მოიპარვენ ფულს.

თავ-შესაფარებელს სახლებში უფრო პატიოსანი ხალხი მოიპოვება, მაგრამ

იქაც მომეტებული რიცხვი მაწანწალები არიან.

პირველი თავ-შესაფარებელი სახლი, საცა მე წაველი, იყო აშენებული ერთი ბებერი ახირებული ქალისაგან დატოვებულის ანდერძით.

იმას პირობა დაუდგია, რომ იმის სახლში შეუშვან ღარიბები მხოლოდ ზამთარში, როდესაც თოვლი მოვიდოდა, დაჰკეტავდნენ აგვისტოში. იქ მიიღებინ ხუთას სულამდის. ძარს აღებენ საღამოს ექვს საათზე. როდესაც შეხვალთ, თქვენს სახელს, ხელობას, საღვამს და სხვ. დასწვრამენ და შეიდი ღლისთვის ერთ ბილეთს მოგცვენ. შემდეგ წავიყვანენ აბანოში. როდესაც წარუდგენთ თქვენს ბილეთს, ერთი

ზედამხედველი მოგცემთ ნახევარ გირვანქა პურსა, რომელიც შეადგენს ვახშამსა. იქ წვებიან რვა საათზე ერთს ოთახში, საცა სამას ორმოც და ათამდის საწოლი და ლოგინი არის! ქვეშაგები შესდგება ერთის დოშაკიდგან, ერთი ბალიშისგან და ერთი საბნისგან, სამივე ტყავისგან არის გაკეთებული.

ჩვენ გაგვისტუმრეს კარზე დილის ექვს საათზე და საუზმისათვის მოგცვენ ნახევარ გირვანქა პური.

როგორც უწინ, ახლაც ჩვენ გვქონდა საღვამად ქუჩა საღამოს ექვს საათამდის: თუ გინდ ეწვიმა, თუ გინდა სეტყვა მოსულიყო, თუ გინდ ეთოვლა, —სხვა თავშესაფარებელი ადგილი არ იყო.

პ. მკ—შელი

რუსეთი

სენატმა განიხილა 22 მაისს საქმე მერა ზასულჩისა, რომელმაც, როგორც გეხსომებათ, რევოლუციური ესროლა პეტერბურლის გრადონაჩალნიკს ტრეპოვს და რომელიც პეტერბურლის ოლქის სასამართლომ (ნფიც მოსამართლეებმა) გაამართლა პასუხის გებისაგან.

სენატმა დაარღვია ეს განჩინება და გადაწყვიტა, რომ ეს საქმე გარდაეცეს ნიჟეგოროდის ოლქის სასამართლოს ხელ-მეორედ განსახილველად.

ოდესსი დამ რუსულ გაზეთები აცნობებენ, რომ ხუთს იქაურ პროფესორს შეუტანიათ პროექტი სტუდენტებისაგან „წარმომადგენელთა კრების“ შედგენაზედ. ყოველი კურსი ამოარჩევს ერთს წარმომადგენელს, ერთათ იქნებიან 12—16 კაცადისინ.

ამ კრების დანიშნულება ის იქნება, რომ უმოკონ სტუდენტობას უროკები და სხვა გვარი მუშაობა, მიიღონ მონაწილეობა იმათ მატერიალურ გაუმჯობესებაში და ამის გარდა იშუამავლონ პროფესორებისა და სტუდენტობის შუა. წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას ფულის გაყოფაში საწყალ სტუდენტებს შუა საპოპიჩიტელო კასილამ და სხ.

განცხადებანი

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა „მული, რძალი და მარხინიკი“ სამ-მოქმედებიანი დრამა ალ. ა. თუთაივისა (5—1)

მ. გორვი არის ხუთ-თვალნიანი ბასაძირავებელი სახლი უფ. შურულისა თავის სამზარეულოთი, სარდაფითა და ეზოთი. სახლი დგას როტონდის გვერდით. შასისა და სხვა პირობების შეტყობა შეიძლება ბორში უფ. ალალო თუთაივთან. (3—1)

გამოვიდა და ისყიდება „თეატრ ბატონისუვილი“

ხუთ-მოქმედებიანი ის-ტორიული დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებში, გაღმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რომანიდან „საქართველომ თამარ ბატონისუვილი“ კ. მუსხისაგან.

ისყიდება: თფილისში ყველა წიგნის მაღაზიებში, შუთაისში ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოტეკაში. ფასი ყველგან ექვსი რუბლი. (5—1)

შფროსის კლასის ბიზნაზიელს ჰსურს აძლიოს ბაკმითილავი პრობიზნაზიის საზნაზილამ. მსურველს შეუძლია აღრესი იკითხოს ფორტაში, ჩინოვნიკ შაშელთან. (5—2)

მისაც ჰსურს მოპოვოს ახალი კეპრი შეუძლიან მიჰმართოს ნ. ავალილივოს, (ტუკიაში, მლისავეტინსკის ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ კვერების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

ამ თვის 15-ს ბაიხსნა თფილისში ქართული წიგნის მაღაზია

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები. მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2. ბარემე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის აღრესით: Въ Тифлиси. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

გამოვიდა და ისყიდება „სოლი ვიტირო, თუ ვული?“ ჰომეღია ალ. თუთაივისა ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს. ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ ტუზმანაშვილთან, ქარელს—დავით შეროჩაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუბნის უჭეტში, სურამს—ზაქარია არუწოვთან, შუთაისს—იაკობ ოპანეზოვთან და სვ. ცერვაძესთან შოთში—მლისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. ღიასამიძესთან, მეჯვრის-ხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, ბორში—სტ. ზომოვეთან და თვითონ ავტორთან.

დაიბეჭდა და ისყიდება თფილისში „დროების“ რედაქციაში, შუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოტეკაში: ბატონისუვილი ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველთა ბამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან. ფასი ექვსი რუბლი

რკ. გზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაბ	მაზანდა	მან კაბ	თფილისის სამკურნალო
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 30 მაის.		ქრევის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	68	38	შუთაისს, შოთს	1	შქე. თეა. ბანჯისა, ფთ.	1 50	ავთამყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.
ბორი	11 58	9 43	2 40	1 33	როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	ქერი ფუთი	1 20	მ რ შ ა ბ ა თ ს: ქიუჩარინც—ხორუბი, ბარალევიჩი—შინაგ. ავთამყოფ.
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	პეტერბურგს, შარშავას	2	ბაზა ქრევისა, ფუთი	7 50	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: შერმიშევი შინაგ. ავთამყოფობის, რეიხი და ბახტონი—ბეზიობის თვალის.
სურამი	1 44		4 42	2 46	მსმალეთში, შევიცარიაში	3	— ამერიკისა, ფუთი	8 50	მ თ ხ შ ა ბ ა თ ს: შერმიშევი—შინაგანი ავთამყოფ., ბაკტა—გულის და ნგრევის ავთამყოფ.
შვირილა	5 49		5 81	3 23	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბაპენტილი ბაზა ფუთი.	10	ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: შერმიშევი—შინაგანი ავთამყოფ. შავრინსკი—ქალის და ობრეტტი—კბილის.
რიონი	6 47		6 75	3 75	ინგლისში	3 75	მატელი თუშური ფთ.	6 50	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: შერმიშევი—შინაგ. ავთამყოფ. ბახტოვი და ქიუჩარინცი.
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ფო. შტა		— თარაქამისა ფთ.	4 20	შ ა ბ ა თ ს: შერმიშევი შინაგანი ავთამყოფ. შავრინსკი—ქალის და ობრეტტი—კბილის.
ახ.-სენაკი	—		8 57	4 76	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, შუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. შუგდ. ორშ. და სამშ. (მზურ.—პარასკ. და ორშ. ძახეთს—სამშ. და შაბ. ბ) შუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურგეთს—ორშ. და პარასკ.		აბრეშუმი ნუხური სტ.	2	შ ა ბ ა თ ს: შერმიშევი შინაგანი ავთამყოფ. შავრინსკი—ქალის და ობრეტტი—კბილის.
შოთი	9 40		9 75	5 42			— თარაქამისა ფთ.	4 20	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: შერმიშევი—შინაგ. ავთამყოფ. ბახტოვი და ქიუჩარინცი.
შოთი	9 13				წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაბ.	შავა გრვალი, გირე.	— 70	შ ა ბ ა თ ს: შერმიშევი შინაგანი ავთამყოფ. შავრინსკი—ქალის და ობრეტტი—კბილის.
ახ.-სენაკი	—		1 18	66	ღია წიგნის	4	— ფხვილი ფუთი	6	შ ა ბ ა თ ს: შერმიშევი შინაგანი ავთამყოფ. შავრინსკი—ქალის და ობრეტტი—კბილის.
სამტრედია	11 16		2 61	14	დაბეჭდილის (სანი მისხალი)	8	შეთი ქუნჯულისა ფუთი	13	შ ა ბ ა თ ს: შერმიშევი შინაგანი ავთამყოფ. შავრინსკი—ქალის და ობრეტტი—კბილის.
რიონი	12 13		3 41	69			თამბაქო, საშუალო ფუთი	8 50	
შვირილა	1 18	ლაგე	3 98	2 21					
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96					
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24					
ბორი	7 5	4 8	7 36	4 9					
მცხეთა	8 50	6 59	9 85	4					
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42					